საქართველოს მთავრობის

დადგენილება №188

2014 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს:

1. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა (დანართი №1).

2. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დებულება (დანართი №2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი №1

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა

ირაკლი ნოზაძე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ვაჟა გელეიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მყარი სასარგებლო წიაღისეულის სამეცნიერო კვლევითი განყოფილების გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის თავმჯ-დომარის მოადგილე;

ქეთევან ლომიძე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

კობა გაბაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი;

ემილ წერეთელი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ ჩალათაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

მერაბ გაფრინდაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

თინათინ შენგელია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის გეოლოგიური ფონდების სამმართველოს უფროსი;

დავით რობაქიძე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის წიაღით სარგებლობის კონტროლის განყოფილების უფროსი;

უჩა ზვიადაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბერდი ზაუტაშვილი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

შალვა გეგია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის გეოლოგიური აგეგმვისა და ძებნა-ძიების მიმართულების უფროსი მასწავლებელი;

გიორგი მაღალაშვილი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების და მათი გამოყენების ლაბორატორიის განყოფილების გამგე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი;

ნოდარ ქაჯაია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის მყარი სასარგებლო წიაღისეულის ძებნაძიების პროგრამის ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

ლალი ღოღობერიძე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

როლანდ ტორონჯაძე - სამთო ინჟინერ-გეოლოგი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს გეოლოგთა კავშირის პრეზიდენტი.

დანართი №2

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში კომისია) არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) არსებული სათათბირო ორგანო.

2. კომისიის ამოცანაა ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობისა და გაზის რესურსების გარდა) მარაგების გამოთვლისათვის მოპოვებული გეოლოგიური ინფორმაციის შემოწმება, მარაგების დამტკიცების მიზნით დასკვნის შემუშავება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისათვის (შემდგომში - მინისტრი) დასამტკიცებლად წარდგენა.

3. შესწავლილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, აგრეთვე, მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცება და სახელმწიფო ბალანსზე აყვანა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის გამოცემის ერთადერთი საფუძველია კომისიის დასაბუთებული დადებითი დასკვნა.

4. მარაგების დამტკიცება შეიძლება საბადოს დეტალური გეოლოგიური შესწავლის სტადიაზე, თუ წარდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მოპოვების სამთო-ტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური,

საინჟინრო-გეოლოგიური და სხვა პირობები, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, სამრეწველო ათვისებისათვის მზადყოფნა, ნედლეულის ეკონომიკური მნიშვნელობა, მისი მოპოვების რენტაბელობა და სხვა პირობები.

5. დამუშავებაში მყოფი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მარაგები ექვემდებარება ხელახალ დამტკიცებას საწყისი მარაგების 25-30 პროცენტით კლების ან მატების, ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა პარამეტრების არსებითი ცვლილების შემთხვევაში.

თავი II

კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილებები

მუხლი 2

1. კომისიის ფუნქციებია:

ა) ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა საფუძველზე შედგენილ, წიაღში სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლისათვის საჭირო მუდმივი და დროებითი კონდიციების დამტკიცების თაობაზე დასკვნის შემუშავება;

ბ) ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობისა და გაზის რესურსების გარდა) საბადოების, აგრეთვე, მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის მასალის შემოწმება და მარაგების დამტკიცების თაობაზე დასკვნის შემუშავება;

გ) მიწისქვეშა სივრცეების შესახებ გეოლოგიური ინფორმაციის შემოწმება;

დ) სასარგებლო წიაღისეულის წინასწარ გამოთვლილი (საავტორო) მარაგების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში დამტკიცების თაობაზე დასკვნის შემუშავება;

ე) მინერალური ნედლეულის მუდმივი (საჭიროების შემთხვევაში დროებითი) კონდიციების დასაბუთებასთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების, წიაღში სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის მასალის ექსპერტიზის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, დაძიებული მარაგების დამტკიცების თაობაზე დასკვნის შემუშავება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (ან მათი ნაწილის) სამრეწველო მნიშვნელობისა და მათი ათვისებისათვის მზადყოფნის განსაზღვრა.

2. დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, კომისია უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს ექსპერტები განსახილველად წარდგენილი მასალის ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) მოითხოვოს წიაღით მოსარგებლეებისაგან ყველა გეოლოგიური (მათ შორის, საველე გეოლოგიური დოკუმენტაცია) და ის მასალა, რომელიც საჭიროა მინერალური ნედლეულის კონდიციების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების წიაღში გამოთვლის შედეგების შესამოწმებლად.

3. ანგარიშის წარმდგენი ვალდებულია წარადგინოს მასალის არანაკლებ ოთხი ნაბეჭდი და ოთხი ელექტრონული ვერსია, ასევე, საავტორო ცნობები, კომისის წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

თავი III

კომისიის მართვა და საქმიანობის ზოგადი წესი

მუხლი 3

1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე.

3. კომისიის თავმჯდომარე:

ა) პასუხს აგებს კომისიისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) სპეციალური უფლებამოსილების გარეშე მოქმედებს კომისიის სახელით და წარმოადგენს მის ინტერესებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში;

გ) ამტკიცებს მოწვეულ ექსპერტთა შემადგენლობას.

4. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. კომისიის სხდომების ორგანიზებასა და კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს, აგრეთვე, კომისიის სხდომის ოქმს და კომისიის თავმჯდომარის შესაბამის დავალებებს აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს კომისიის მდივანი.

მუხლი 4

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ.

3. მორიგი სხდომის მოწვევის თარიღს, დღის წესრიგსა და კომისიის ჩატარების ადგილს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობით.

5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი მონაწილეობას იღებდა განსახილველად წარდგენილი კონკრეტული მარაგების მომზადების პროცესში, აღნიშნული საკითხის განხილვისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მას აღარ აქვს კომისიის სხდომაზე ხმის მიცემის უფლება.

6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. დასაშვებია კომისიის მიერ საკითხების გასვლით სხდომაზე განხილვა.

8. მარაგების დამტკიცების თაობაზე დასკვნის შემუშავების მიზნით კომისიას წარედგინება:

ა) საბადოს განლაგების პირობები;

ბ) შესწავლის შედეგები;

გ) სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგების ხარისხისა და რაოდენობის დამადასტურებელი მონაცემები;

დ) საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მისი კონდიციები;

ე) ცნობები სამრეწველო ათვისებისათვის წიაღისეულის ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ;

ვ) საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემა;

ზ) საბადოსთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაცია ან/და მასალა, რომელიც შეიძლება მოითხოვოს კომისიამ.

9. კომისიის დასკვნა ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით. კომისია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების

დამტკიცების თაობაზე დასკვნას შეიმუშავებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

10. კომისია თავის დასაბუთებულ დადებით დასკვნას (კომისიის სხდომის ოქმს), სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების მიზნით, კომისიის სხდომის გამართვიდან 14 კალენდარულ დღეში, წარუდგენს სამინისტროს, რომელიც სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კომისიის მიერ დადებითი დასკვნის წარდგენიდან 14 კალენდარულ დღეში. ასეთ შემთხვევაში, მინისტრის შესაბამისი ბრძანების ასლი, კომისიის სხდომის სრული ოქმი და დამტკიცებული ანგარიშების თითო ეგზემპლარი გადა-ეცემათ კომისიის სამდივნოს და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებით დაინტერესებულ პირს გადაეცემა მინისტრის შესაბამისი ბრძანების ასლი, დამტკიცებული ანგარიშის ერთი ეგზემპლარი და ამონაწერი კომისიის სხდომის ოქმიდან.

11. კომისიის დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილ ვადაში, კომისიის სხდომის სრული ოქმი და დაუმტკიცებელი ანგარიშების თითო ეგზემპლარი გადაეცემათ კომისიის სამდივნოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებით დაინტერესებულ პირს გადაეცემა დაუმტკიცებელი ანგარიშის ერთი ეგზემპლარი და ამო-ნაწერი კომისიის სხდომის ოქმიდან.